სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

27.01.2016 № 6

თბილისი

სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2015 - 2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი სწავლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016 წლის 8 თებერვლიდან 19 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული, ოთახი N350);

2. სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სწავლების დეპარტამენტის განყოფილების უფროსს დ.ბიბილეიშვილს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 2016 წლის 23 თებერვლისა;

5. 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების მომზადება უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2016 წლის 26 თებერვლისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;

7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე–რექტორი

ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი.ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი

ბ.მაისურაძე

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. გარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: აღდგენის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე–რექტორი _____ ლ. კლიმიაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტის სტატუსის აღდგენა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი, გვარი	
სტუდენტის პირადი ნომერი	
განათლების საფეხური:	❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა ❑ დოქტორანტურა
უსდ, რომელშიც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე:	
ფაკულტეტი, რომელზეც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე	
სტუდენტის გარიცხვა/ამორიცხვამდე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:		გარიცხვა/ამორიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტი:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:						
საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების სრული ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი			ECTS კრედიტი	აკადემიური საათი

დასკვნა:	
გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
❑ რეკომენდებულია აღდგენა	❑ აღდგენა არ არის რეკომენდებული
შენიშვნა	

მიმღებ ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

_____ ი.ლომიძე _____ ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

_____ _____ ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

_____ _____ ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

_____ _____ ხელმოწერა